



N 01-337
12/03/2015

337-01-2-201503121840



ა(ა)იპ „ინჟინრულ აზრს“

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ თავმჯდომარის 2015 წლის 10 თებერვლის N02-40 ბრძანებით განსაზღვრული „2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საინჟინრო-საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების“ საკონკურსო კომისიის 2015 წლის 6 მარტის გადაწყვეტილების შესაბამისად, ა(ა)იპ „ინჟინრული აზრის“ მიერ წარმოდგენილი ორივე საკონკურსო წინადადება (დავით აღმაშენებლის გამზირი N36-ში და N34-ში მდებარე სახლების რესტავრაცია-რეაბილიტაციის და დავით აღმაშენებლის გამზირი N184-ში მდებარე სახლის რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით) **დისკვალიფიცირებულია**, რადგან კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილია „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით განსაზღვრული მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით. კერძოდ, საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში არ არის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი, საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი. ამავე წესის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, „წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.“

თემურ ხომერიკი

თავმჯდომარე

ა(ა) იპ „ თბილისის განვითარების ფონდი“